ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 23 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა 2019 წლის შემობრძანება და უსურვა წარმატებები საქმიანობაში და მადლობა გადაუხადა მათ იმ წვლილისთვის რაც მათ შეაქვთ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ 2019 წლის საკრებულოს პირველი სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების) ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,
საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა
და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, შ. ჭილაია, ი. გოგოლაძე, კ. ნასარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებისთვის სიტყვა ითხოვა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ ბ. მამაცაშვილმა

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში არასწორი ინფორმაციები ვრცელდება, ჭალადიდიდის ადმინისტრაციული ერთეულის ყორათის უბნის ერთ-ერთ მონაკვეთზე გახშირებული ავტოავარიის შესახებ. მისი განმარტებით, მთავრობის მიერ განხორციელდა ყორათის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია, აღნიშნულ გზაზე ავტოავარიის შემთხვევები გახშირდა მძღოლების დაუდევრობის, მაღალი სიჩქარით მოძრაობის გამო და არა აღნიშნულ მონაკვეთზე, საგზაო ნიშნების მოუწესრიგებლობის გამო, რაც სოციალური ქსელით არასწორად ვრცელდება.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ წუხილი გამოთქვა ყორათის უბნის ერთ-ერთ მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევების გახშირების გამო და განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხილვა ჰქონდათ, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან (დ. ბერაია) და შესაბამის უწყებებთან ერთად. გაირკვა, რომ ამ ეტაპისთვის ყველა საჭირო ზომა იქნა მიღებული, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ზომებიც იქნება მიღებული.

ი. ნადარაია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, აღნიშნულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის დასრულების შემდგომ აპირებდა შეხვედრას და კონსულტაციების გავლას საკრებულოს თავმჯდომარესთან, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარესთან (ბ. მამაცაშვილი) და მის მოადგილესთან (დ. ცინაძე) ერთად, რადგანაც ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე ჭალადიდიდის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლები არიან და იციან მოსახლეობის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გამომსვლელის განმარტებით, მარტო საგზაო ნიშნების მოწესრიგება არ არის საკმარისი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. რადგანაც რკინიგზის სადგურიდან გზის მიმართულებით არის დიდი ნათურა, ეგრეთწოდებული „პროჟექტორი" ჩართული და მძღოლები იბნევიან და მოხვევის ნაცვლად პირდაპირ აგრძელებენ გზას, რაც იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევებს. უბნის მოსახლეობის აზრით უმჯობესი იქნებოდა პირდაპირ არსებული ქუჩის გადაკეტვა და მეორე მხრიდან შესასვლელის გახსნა. გამომსვლელის განცხადებით, უფრო უპრიანი იქნებოდა, წერილით მიემართა მერიას საგზაო დეპარტამენტისთვის, რათა მოეწყოთ აღნიშნული გზა ისე, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები თავიდან აგვეცილებინა.

ვ. გაბედავა - მერის პირველი მოადგილე - განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი აღნიშნულ მონაკვეთზე, რაიმე სახის ღონისძიების ჩატარებას ვერ განახორციელებდა, საგზაო დეპარტამენტიდან შესაბამისი მითითების გარეშე. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპისთვის

მერიაში მზადდება წერილი, საგზაო დეპარტამენტში გასაგზავნად, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნულ მონაკვეთზე, ავტოსაგზაო შემთხვევების გახშირების შესახებ. მისი განმარტებით, ადგილობრივი მთავრობა ჩართულია ამ პროცესებში და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით დროულად მოგვარდება ყორათის აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული პრობლემა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერია შემოვიდა 2019 წლის 22 იანვრის N04/159 წერილით, რომლითაც საკრებულოს განსახილველად წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები 2180,2 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან). მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 5,8 ათასი ლარით, კერძოდ, პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნება. ასევე

ხორციელდება 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 1205,3 ათასი ლარის ასახვა ბიუჯეტში. გამონათავისუფლებული და ნაშთის თანხები ჯამში 1211,1 ათასი ლარი მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად: 80,0 ათასი ლარი - პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე; 5,8 ათასი ლარი - პრიორიტეტის ,,თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება" ასიგნებაზე; 994,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე; 127,3 ათასი ლარი - პრიორიტეტის ,, განათლება" ასიგნებებზე; 4,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10694,8 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: თეა გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან

ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ მომზადდა საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2019 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების) ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების) ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა დაინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2018 წლის დეკემბერში დამატებითი ქონების სახით გადმოეცა 150 ერთეული პლასტმასის ნაგვის ურნა. წარმოდგენილი პროექტით მერია შემოდის წინადადებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ურნების გადანაწილების მიზნით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით ურნების შპს „ხობი დასუფთავება და განათებაზე" გადაცემის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - განაცხადა, რომ შეკითხვა ჰქონდა მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსთან (ა. ვარდია), რომელიც წარმოდგენილ საკითხს არ ეხებოდა. გამომსვლელმა განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია, მერიის მიერ განხორციელდა ტენდერი სტალინის ქ. N6-ში მდებარე უმწეოთა სასადილოს მართვის შესყიდვაზე, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება. გამომსვლელის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებული იყო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გადაწყვეტილება მიეღო საკრებულოს თანხმობის შემდეგ. გამომდინარე აქედან არასწორად განხორციელდა მერიის მხრიდან აღნიშნული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“. ამ ეტაპზე მერიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი ზემო აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების თაობაზე, რომლის თანახმადაც მოწონებულ პროექტებს ემატება ქ. ხობში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის

თაობაზე პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის

2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტში გაპარულია ტექნიკური შეცდომა, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ზემო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა და მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით (500 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად)“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, შ. ჭილაია, კ. ლატარია, კ. გოქაძე, ი. ნადარაია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ე. ჯობავამ განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას მუნიციპალიტეტის ცენტრამდე გადაადგილებაში დაეხმარებოდა. მისი განცხადებით, ქ. ბათუმის მერიამ განახორციელა ახალი ავტობუსების შესყიდვა და ძველის ჩანაცვლება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ბათუმის მერიასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ჩანაცვლებული სატრანსპორტო საშუალებიდან სამი ერთეული ავტობუსის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემის თაობაზე, რომელიც მისი აზრით დადებითად გადაწყდება.

ასევე გამომსვლელმა ინფორმაცია მიაწოდა იმის თაობაზე, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში 2019 წლის 28 იანვარს მოსახლეობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართავდა შეხვედრას. შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ს.

კილაძის ინიციატივით, მაჟორიტარი დეპუტატის დაჩი ბერაიას და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და ბრიტანეთის მთავრობის UK Aid-ის ფინანსური ხელშეწყობით გაიმართება. შეხვედრაზე განხილულ იქნება „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონი და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები. შეხვედრის მიზანია მოქალაქეებმა უშუალოდ კანონმდებლებისგან მიიღონ ინფორმაცია ორი მთავარი რეფორმის შესახებ, რომელიც კომიტეტმა 2018 წელს განახორციელა და მეორე მხრივ, დეპუტატებმა მოსახლეობისგან მოისმინონ მათი წინადადებები და კომენტარები შემდგომი რეაგირების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 23 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. რამინ ხილაზე
12. ფრიდონ შონია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მერაბ ნადარაია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. იგორი გოგოლაძე
29. გიგა ნასარაია
30. ირაკლი ნადარაია